სამშაბათი, 23 იანვარი, 1907 წ.

ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი—№ 15.

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და სადამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენტებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვეში მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით 2—5 საუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ისარი

გაზეთი ღირს:

ერთის წლით:		ნახევარის წლით:		ერთის თვით:	
ტფილისში	6 მ. 50 კ.	ტფილისში	4 მ. — კ.	ტფილისში	— მ. 75 კ.
ტფილისს გარედ	7 „ — „	ტფილისს გარედ	4 „ 50 „	ტფილისს გარედ	— „ 80 „
საზღვარ-გარედ	12 „ — „	საზღვარ-გარედ	6 „ — „	საზღვარ-გარედ	1 „ 50 „

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება:

ტფილისში: 1. «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მილოვის სახლი). 2. «ქ. შ. წ. გ.-კ. საზოგ.» წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.). ქუთაისში: ისიდორე კვიცარიძესთან («კოლხიდის» ამხანაგობაში). ჭიათურაში: სოფრომ ტარიელოვთან, ჭიათურის კანკში. ბაქოში: გიორგი ჩხეიძესთან (ჭინჭარაძის და ჩხეიძის მაღაზიაში).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція газ. «ИСАРИ»**.

გულითადი მწუხარე მშობელი დედა **ეფემია ეფემის ასული** და მამისებრ მოამაგე **ვარდენ გიორგის ძე ბარდაველიძე,** ბიძა **გიორგი ეფრემის ძე** და მეუღლე მისი **ლიზა ძინძიბაძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებულის

კატუშა ქიტესას ასულის ბეჟანოვის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება საორმოცო წირვა და პანაშვიდი შაბათს, იანვრის 27-ს, ნაძალადევის ეკლესიაში. (1—502—1)

მღვდელი ალექსანდრე გერსამია, პარა კევა, დომინიკა და გიორგი გერსამიები, ქსენია, პერტე, იასონ სარიდონ დ. **გრიგოლ ბერუჩაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლისა, მეორე, მესამე და მეოთხე—ძვირფას დედისა, მეხუთე—უსაყვარლესის შვილისა, ხოლო უკანასკნელნი—დის

თეო პავლეს ასულის გერსამიასას.

დაკრძალვა ქ. ქუთაისში 23 იანვარს, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, არქიელის გოროზე. (1—კვ.—1)

თავ. **მიხეილ ლევანის ძე შერვაშიძე, სვიმონ გიორგის ძე, მარიამ, არჩილის ასული წერეთელი, ბარბარე მერაბის ასული ანდრონიკოვისა ნადეჟდა დიმიტრის ასული; ეკატერინე დიმიტრის ასული** და **მალხაზ არჩილის ძე ანდრონიკოვები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელ მეუღლის, მეორენი საყვარელი შვილისას, მესამენი შვილიშვილისას, ხოლო უკანასკნელნი მახლობელ ნათესავისას

ეკატერინე სვიმონის ასულის შერვაშიძისას

დაკრძალვა მოხდება 23 იანვარს **მანგლისში**. (1—1)



ძმათა ნიკიტინების ცირკი.

სამშაბათს, 23 იანვარს, გაიმართება დიდი და საუცხოო წარმოდგენა. მეორე გასტროლი, ევროპაში ცნობილ მეველოსიპედეთა ძმათა **ეფიმოვებისა** (მოწვეული ერიან მხოლოდ რამდენისამე დღით). უშიშარი ცხენოსნობა, კალათში, «სიკვდილის წრეში»; სიცოცხლე ძაფზე ჰკიდია. თუ გინდათ დარწმუნდეთ, მოდით ცირკში. მონაწილეობას მთელი დასი მიიღებს. დასასრულ **ბალეტი „თვალთმაძაცი“**; მონაწილეობს მთელი ბალეტი და პრიმაბალერინა რუმიანცევა.

ანონსი: კვირას, 28 იანვარს, გაიმართება ორი დიდი წარმოდგენა; დილისა—განსაკუთრებით ბავშვების და მოწაფეების სასიამოვნოდ, დაკლებულის ფასებით.

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე. (ხალ.—503—1)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

მიხეილ აგაჯანოვი: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნფილისი.

ი. ნ. ეგიაზაროვი: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

გ. ა. ცაცევოსოვი: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

ი. გ. ავეტისოვი: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

მ. პ. კიმონტი: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

პ. ა. შეიერი: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

ი. ნ. თუმანოვი: 5—6 ს. სადამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—10)

ვერის სამკურნალო

სპეციალისტ ექიმებისა.

ოღგას ქუჩა № 35.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.

ექ. ბაბუდაგოვი—ნერვებისა და საელექტროსამლობა და პიპნოზი. 9—10 ს.

ექ. მელიქ-ეფანთოვი—ვენერიული, კანისა და საშარდე 9½—11 ს.

ექ. რამენდიკი—შინაგანი 10½—11½ ს.

ექ. ზაკრევსკი—ქალისა და სანებიო 11—12 საათამდე.

ექ. ქალანთაროვი—თვალისა 1—2 ს.

ექ. კიდოსანიძე—ქირურგიული 12—1 ს.

ექ. ზარეინკევიჩი—ბავშვისა 12—1 ს.

ექ. შტრეიხერი—ყელისა, ყურისა და ცხვირისა 1—2 ს.

ექ. კაპზურგერი—ქიმ. მიკრ. და ბაქტ. გმოკვლევა შარდისა, სისხლისა, ნახველისა და სხვ.

რჩევა-გარიგება 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები ცალკეთ.

სამკურნალოში შეიძლება მასსაჟი. (100—84)

შედიცინის დოქტორი

მ. ი. მურადოვი

რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორად იყო, იღებს საშარდეს, ვენერიულ (სიფილისი) და კანის სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—12 საათ., საღამოთი 5—7 ს. სოლოლაკი, რტიშჩევის ქ., № 1, ცეცხლისმქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (25—ხალ.—21).

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიული. დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 5.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

ექ. ფ. ი. რუდენკო—შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი—ქირურგ. სნეულ. ოთხშაბ. და პარასკევობით 2—3 ს.

ექ. მ. ი. იანჩევსკი—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

ექ. ვ. ვ. ენუკოვი—ქირურ. და საშარდე. ოთხშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

ექ. ნ. მ. ასპინოვი—ყურის, ყელისა და ცხვირის. ოთხშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

ექ. ვ. გ. ბოგოვსკი—შინაგანი წამლობა მთავარ ნებით; ყოველ დღე 4—5 ს.

ექ. ა. ნ. თეორაძე—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

ექ. ა. ი. პავლიცკი. ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე. კვირაობით 4—5 ს.

ექ. ა. ა. მონსი—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

ექ. ა. ფ. როზმინსკი—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

ექ. ნ. ი. ნეუმინი—თვალისა, ოთხშაბ., სამშაბათს, ოთშაბ., შაბათს 11—12 ს.

ექ. ა. ა. ნოვიცკი—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

ვ. ი. ნნაევ.—შინაგანი 1—2 ს. სამშ., ოთხშ., შაბ., კვირ.; ქალებისათვის—ოთხშაბ., ხუთშაბ. 1—2 ს., პარასკ. 12—1 ს.

ექ. ზ. ფ. ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—5.

ექ. მ. ი. გოროდეცკა. მასსაჟი 11—4 ს.

ექ. გ. მ. პივარსკი
ექ. კ. ი. ჩუდნოვსკი } კლინიკური ანალიზი.

ექ. გ. ი. ონობკო—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—42)

ლაკტო-ბაცილიანი რძე

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

ა. ს. კლეგანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონეცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 389. (100—51—55)

ექიმი

ბ. ნ. მაგაკიანი

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას სპეციალური ექიმია **კუჭისა და ნაწლავებისა** მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს.. მიხეილის პრეს., № 36, სახ. ჭავჭანიძისა (25—12)

თვალის ექიმი

ზ. ვ. ცხვედაძე

ლორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—17)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—26)

ქ. ქუთაისში

თებერვლიდან გამოვა ყოველ კვირეული ქართული გაზეთი

„გრდემელი“

გაზეთი იქნება უპარტიო, პროგრესიულ მიმართულებისა. (6—4)

ცლ-ქმართა

განქორწინების საქმეს ვაწარმოვებ კონსისტორიებში, ვწერ თხოვნებს და ვაძგენ ყოველნაირ არზებს ზომიერ ფასად.

პირადად ნახვა შეიძლება საღამოს 5—7 საათამდე. წერილით მიმართა შეიძლება ამ ადრესით: ავლაბარი, შემახის ქუჩა. თ. ზ. ნასიძე. (6—2)

ცნობილ აბრეშუმის მეთესლის ხრისტო სტავროვის ძის

ხრისტოდულიდისა.

ამით ვაცნობებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ქუთაისის გუბერნიასა და ბათომის ოლქში ჩემის ცნობილ **აბრეშუმის თესლის** განსაკუთრებული გაყიდვა გადავეცი სავაჭრო სახლს **„ი. ბოკიელოვის შვილები“**, ქ ქუთაისში, რომელსაც პატივცემულმა საზოგადოებამ უნდა მიმართოს თესლის შესაძენად. (10—ავ.—1)

ქართული წარმოდგენა

სახალხო თეატრში

ხუთშაბათს, 25 იანვარს, 1907 წ.

ბენეფისი **ტასო აბაშიძისა**

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

პეპელათა ბრძოლა

კომედ. 4 მოქ. თხზ. ზუდერმანისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

II

მუსიკა და ლიტერატურა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. **შულგინა-მესხი, მარიამ ძნელაძე, თამარ ძნელაძე** (სკრიპკა), ბ.ბ. **ტომაშევიჩი, ცხომელიძე, ნიკ. ერისთავი, ადამიძე, ურუშაძე, გედევანოვი და აბაშიძე.**

აკომპანიატორები: ქ.ქ. ტომაშევიჩისა, გვარჯელაძე და ბ. ფალიაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

(3—უ.—1) რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ქართული წარმოდგენა

თეატრი „რენენსანსი“

(მიხეილოვის ქუჩაზე)

ოთხშაბათს, 24 იანვარს, 1907 წ. ქართულ დასის არტისტების მიერ, ჩვენის თანამემამულეთა **სპარსელ ქართველთა პატივსაცემლად** წარმოდგენილი იქნება დ. ერისთავის ცხობილი პიესა.

სამშობლო

დრამა 5 მოქ.

დასასრულ

დივერტისემენტი

ქართული ხოროა **ბ-ნ კავსაძის** ლოტბარობით.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, გამყრელიძისა, ბ-ნნი ივანიძე, იმედაშვილი, სვიმონიძე, ბერიშკილი, ყალაბეგაშვილი, ყივიძე, საფაროვი და სხვანი. დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე. ბილეთების ყიდვა ადრევე შეიძლება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის სავაჭროში.

გამგენი: **ივანიძე** და **საფაროვი.**

(2—უ.—2)

სახალხო თეატრი

ანტრეპრიზა რიზა ნორდშტრემისა

სამშაბათს, 23 იანვარს 1907 წელს.

მ. გ. ვახოლი-ბალბაშევსკაიას მონაწილეობით შესრულებული იქნება

დ. ა. კამჩატოვის საბენეფისოდ

რუსალკა

ოპერა 4 მოქ. დროგომიროვისა.

დირიჟორი **ა. ბერნარდი.**

ხვალ დანიშნულია უკანასკნელი გასტროლი

ვან-ბრანდტის ტრავიატა.

დასაწყისი 8 საათზედ.

გამგე ოპერისა **ვ. ლ. ურუშაძე.**

ტფილისი, 23 იანვარი.

დიდ-მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა გერმანიაში: საერთო არჩევნებში დიდათ დამარცხდა გერმანიის ძლევამოსილი სოციალ-დემოკრატია. თუმცა ჯერ დამატებით არჩევნების შესახებ ცნობები არ მოსულა (ამ ორ დღეში მოვა *), მაგრამ უკვე პირველის არჩევნებიდან სჩანს, რომ ს.-დემოკრატია ბევრად უფრო დასუსტებული შევა ახალს რეიხსტაგში, ვინემ წარსულში იყო. არ გამართლდა ბებელის წინასწარმეტყველება—20 დეპუტატს მაინც მეტი გვეყოლება მომავალს რეიხსტაგშიო; პირიქით, როგორც სჩანს, 20 დეპუტატზედ მეტსაც დაჰკარგავს ბებელის პარტია.

გაზეთების ცნობებით, 12 იანვრის არჩევნებში აირჩიეს მხოლოდ 29 სოციალ-დემოკრატი, მაშინ როდესაც წინანდელ არჩევნებზე (1903 წელს) ს.-დემოკრატებმა პირველადვე 56 კაცი გაიყვანეს; დამატებით არჩევნებში მაშინ 120-მდე სოც.-დემოკრატი იღებდა მონაწილეობას, ახლა კი მხოლოდ 92 კანდიდატი იყრის კენჭს. 1903 წელს სულ არჩეული იყო 81 სოც.-დემოკრატი; 12 იანვარს კი პარტიამ 21 ადგილი დაჰკარგა და მხოლოდ ერთი მოიგო. რაც უნდა კარგად წავიდეს მათი საქმე დამატებით არჩევნებზე, 20-ზედ მეტს ვერ გაიყვანენ და ამნაირად ახალს რეიხსტაგში სოციალ-დემოკრატებს 50-ზედ მეტი დეპუტატი არ ეყოლებათ, ე. ი., 30 კაცით ნაკლები მაინც.

რა მიზეზია ასეთ სასტიკის დამარცხებისა? რა მოუვიდა იმ პარტიას, რომელიც 25 წელიწადია დღითი-დღე თვალსაჩინოდ ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა? გადაჭრით ამაზე პასუხის თქმა ერთობ ძნელია, რადგან ერთობ არჩევნები ვერ გამოარკვევენ ყველა მიზეზებს, და, გარდა ამისა, ამ არჩევნების შესახებაც არ მიგვიღია ჯერ დაწვრილებითი ცნობები. მაგრამ იმის თქმა თამამად შეიძლება მაინც, რომ ეს დამარცხება შემთხვევითი არ არის; პირიქით, შემთხვევითი უფრო წინანდელი გამარჯვებანი ჩაითვლება.

მართლაც, ფაქტია უტყუარი, რომ ს.-დემოკრატია გერმანიაში მაინც თავის საკუთარ პარტიის ხმებით არ იმარჯვებდა; მარტო მუშათა ორგანიზაციების დახმარებით ს.-დემოკრატია ისე ძლიერი არ იქნებოდა, რომ მეორე ადგილი დაეჭირა რეიხსტაგში. მუშათა პარტიას დიდ-ძალ ხმას აძლევდა წვრილი ბურჟუაზიაც. ახლანდელს არჩევნებზე ს.-დემოკრატებს მოაკლდათ ხმები ისეთ დიდ სამრეწველო ქალაქებში, როგორიც არიან ბერლინი, ლეიბციგი, დრეზდენი და სხვა; პირველის ცნობებით, მათ დაუკარგავთ ამ ქალაქებში 40 პროცენტზე მეტი ხმა; ეეჭველია, ეს მუშების ხმები კი არ არის, არამედ წვრილ ბურჟუაზიისა, რომელნიც ახლა ბურჟუაზიულ დემოკრატიისაკენ და ლიბერალებისაკენ გადავიდნენ. არის ცოტა ცნობები იმის შესახებაც, რომ ს.-დემოკრატიას სოფლის გლეხობის ხმებიც დაუკარგავს.

რას მოასწავებს ეს გარემოება? რათ შორდებიან ს.-დემოკრატებს წვრილი ბურჟუაზია, გლეხობა, საერთოდ დემოკრატიული ელემენტები, რომელნიც დღემდის ერთგულად ემხრობოდნენ ბებელის პარტიას? საქმე ის არის, რომ ეს ელემენტები დაინტერესებულნი იყვნენ გერმანიაში დემოკრატიზმის განვითარებასა და გაძლიერებაში. გერმანია დღემდის ნახევრად ავტოკრატიული სახელმწიფოა და ნამდვილ საპარლამენტო რეჟიმისაგან ჯერ კიდევ შორს არის. ხალხი კარგა ხანია მიისწრაფის, საბოლოოდ დაამხოს ნახევრად თვითმპყრობელი წესწყობილება და გააძლიეროს ხალხის უფლებობა. რადგან ს.-დემოკრატიის სადღეისო პროგრამაც ამასვე ჰბირდებოდა ხალხს, რადგან ეს პარტია სწორედ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე სოციალისტური, ხალხიც მას მიემხრო, მით უფრო რომ ჰხედავდა გერმანულ ლიბერალიზმის სისუსტეს, მაგრამ გადის დრო, გადის მეოთხედი საუკუნე და გერმანიაში დემოკრატიის გამარჯვება არა სჩანს; ვილჰელმ მეორის ხანამ თუ არ გააძლიერა, სულაც არ შეუსუსტებია ავტოკრატიული რეჟიმი და არცა სჩანს ჯერ საიმედო ნიშნები. ს.-დემოკრატია გაძლიერდა, რამდენიმე მილიონი ხმა დაისაკუთრა, რეიხსტაგში რაოდენობით მეორე ადგილი დაიჭირა; მაგრამ მისი ტაქტიკა, მისი ბრძოლის სიძლიერე ისეთივეა დღესაც, როგორც იყო მე-70 წლებში, როცა ს.-დემოკრატია სუსტი იყო. ამან გაუცრუა იმედი ხალხს და აი, არა-პროლეტარული ნაწილები კიდეც შორდებიან ს.-დემოკრატიას. როგორც იცით, სასოწარკვეთილება პროლეტარიატშიაც შეიპარა ბოლო წლებში და ორი მიმართულება ნელ-ნელა უკვე იჩენს თავს: ერთის მხრით ძლიერდება სარევოლიუციო სოციალიზმი, მეორეს მხრით—რევიზიონიზმი.

ყველა ეს ცუდი ნიშნებია გერმანიის ძლევამოსილ სოციალ-დემოკრატიისთვის. თუ გერმანიის ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ ფხა გამოიჩინა და მხნედ შეუდგა დემოკრატიის უფლებათა დაცვას და მის ინტერესებისათვის ბრძოლას, მუშათა პარტია თან და თან დაჰკარგავს, არა პროლეტარიატ დემოკრატიულ ნაწილების სიმპატიას; მეორეს მხრით, თუ ს.-დემოკრატია თავის ტაქტიკას არ შესცვლის, თავის მკვდარ და განყენებულ დოგმატიზმს და აგრეთვე დემაგოგიას ზურგს არ შეაქცევს, სასოწარკვეთილება სულერთიანად შეიპყრობს პროლეტარიატსაც და ისიც უღალატებს.

ახლად დასრულებული არჩევნები პირველი გაკვეთილია გერმანიის სოც.-დემოკრატიისათვის და სხვა ქვეყანათა ს.-დემოკრატებისათვისაც.

„ს-დ—კებმა დაიწყეს“

არჩევნების პირველი ფაზისი დაიწყო თუ არა «ს.-დ.-კებმა» ხელი მიჰყვეს ჩვეულებრივ ხრიკებს და შეუდგნენ თავისებურ დიქტატურის სისრულეში მოყვანას. ამომრჩევლებს შეაგონეს, აგაწიოკებთ თუ ჩვენ მიერ დასახელებული კანდიდატები

*) პირველი ცნობა დღევანდელ დეპეშებშია და ამბობს, რომ დამატებით არჩევნებზე ს.-დ. სამი ადგილი დაჰკარგაო.

არ წამოაყენეთო, ყალბის საბუთებით შეიარაღდნენ და ამომრჩევლებად ისეთი კაცები წამოაყენეს, რომელნიც მოკლებულნი არიან ამ უფლებას; კრებებზედ, რომელზედაც მარტო ყუთთან მისვლაა საჭირო, თავისებურ დემაგოგიურ აგიტაციასა სწევენ, ასეთ ლათაიებით უმასპინძლდებიან ამრჩევლებს: ჩვენ გვინდა თავად-აზნაურებს ჩამოვართვათ ადგილ-მამული და გლეხ-კაცებს მივცეთ, მას საკუთრება შევსძინოთ და მისი საკუთრება გავადიდინოთო, ე. ი.—როგორც ჭეშმარიტად შენიშნა ილ მყოფმა ს.-რ-მა,—სოციალ-დემოკრატი, რომელიც თავს სოციალისტად სახავს, სცდილობს მესაკუთრე გლეხები დასვას მესაკუთრე თავად-აზნაურების მაგიერ და საკუთრება მისი განამტკიცოს. მერე შეადგინეს სია მათ «ინტერესთა დამცველთა» და მოსთხოვეს ხალხს, ესენი უნდა ერთხმად ავირჩიოთო, ე. ი. ყვირილით და ყიჟინით (par acclamation) უნდოდათ არჩევნები მოეხდინათ.

დავესწარი ერთ ამგვარ კრებას და უნდა მოგახსენოთ, მაშინ როდესაც სტოლიპინის პოლიტიკა დიდის თავაზიანობით იქცეოდა, რაიცა იმაში გამოიხატებოდა, რომ ახლოსაც არ გაჰკარებია საარჩევნო დარბაზს, ს.-დ.-ების თვითმპყრობელობის ახალი პოლიტიკა იქცეოდა ისე, რაიცა სტოლიპინის პოლიტიკას მარტო შეენდობა. ყოველთვის სცდილობდნენ, რომ ხალხის არჩევნების ფალხიფიკაცია მოეხდინათ და ამაში დიდი ფხა გამოიჩინეს წარსულ არჩევნებში და ეხლა ხომ უფრო დახელოვნებულნი არიან. ასე, მოგახსენებენ, ამომრჩევლებს სხვა და სხვა ყაჩაღის სახელით ფიცხელი ბრძანებები დაურიგეს («საიდუმლო ცირკულიარები,» რათა?), თუ ეს და ეს არ აგირჩევიათ, აგაწიოკებთო.

მართალია, ს.-დ-კების პოლიციური ხერხიანობა გაორკეცებულია, მაგრამ ამომრჩევლებს კი ეტყობოდათ, რომ მათი ლათაიები მოსწყინდათ, რომ მათი წაქეზება ადარა სჯერათ და ადარც ჭკვაში მოსდით, მათი ყვირილი თავს აბეზრებს, მაგრამ ასის წლის მათრახისაგან შეშინებულ მგეიდრს ყველაფრისა ეშინიან და ისიც ეგემურად მისდევს ეს-დეკების პოლიციის აგენტებს. ყველასთვის, ვისთვისაც ხალხის თავისუფლება, ხალხის გათვითცნობიერება ქადაგებს ერთს უძვირფასესს აზრს მოქმედებისას, საგალდებულოა ამგვარ მოქმედებას ეს-დეკებისას წინააღუდგეს და მსნედ შეებრძოლოს. დესპოტიზმის სახრჩობელა ყველა ერთია, იგი აბსოლიუტის ბიუროკრატიისაგან არის დადგმული, თუ იაკობინელთა პოლიციისაგან. შეგნებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ ნება არ უნდა მისცეს ამ თავისებურ მტარვალთა ჯგუფს, ადამიანის ყოველივე უფლება შელახოს და არჩევნების თავისუფლების ნაცვლად არჩევნების დიქტატურა დაამყაროს. შეუძლებელია კაცმა, რომელიც თავისუფლებას პატივსა სცემს, მოითმინოს ის, რომ უხეიროდ კანონი, რომელმაც არჩევნების გარეშე დააყენა რამდენიმე ათი და ასი ათასი ამომრჩეველი, მარტო ყალბის დოკუმენტთა შემდგენელთათვის იქმნეს სახეიროდ და იქ, სადაც მრავალი ამომრჩეველი ახლოს ვერ გაეკარება საარჩევნო ყუთს გააფითრებულის ბიუროკრატიის მახინაციების წყალობით, ათთვის მეიქმნეს საოამაშოდ, ვინც ორ სამ ძანეთს მისცემს სოლახანა პოლიციის «ჩინოვნიკს» და ამ გვარად ყალბ საბუთს შეიძენს.

ჩვენ ჩვენის მხრით ამომრჩეველთა უფლებას დავიცავთ და არავის არავითარს

ფელეტონი

მოსე.

ჰენრი ჯორჯისა.*)

(თარგმანი ინგლისურიდან)

მე იმას კი არ ვამბობ, რომ მოსეს დაწესებულებანი, მათი საბოლოო დანიშნულების მიხედვით, საუკეთესო რამ იყო, რაც იმ დროში შეეძლო გამოეგონა კაცს. მოსეს, ყველა აღმაშენებელ დიდ სახელმწიფო მოღვაწეებსავით, იმის გარშემო მასალაზე უნდა ემუშავნა, იმ იარაღით, რომელიც ხელთ ჰქონდა. არც ის მინდა ვსთქვა, რომ ამა და ამ დროისა და ხალხისათვის შესაფერი ფორმა ყველა დროისა და ხალხისათვის შესაფერია. ფორმას, გარეგნობას კი არ უნდა ვცეთ ჩვენ პატივი, არამედ შიგ გამოცხადებულ სულიერ მისწრაფებას.

მერე როგორ ხშირად შევხვდებით ხოლმე გარეგნობის პატივისცემასა და სულის უარყოფას. ბევრნი არიან ისეთები, რომელთაც სჯერათ, რომ მოსეს დაწესებულებანი სიტყვა-სიტყვით ნაკარნახევია ყოველად-შემძლებელ ღვთის მიერ და სარწმუნოების წინააღმდეგადა და „კომუნისტურად“ გამოაცხადებენ თვითეულ წადილს, რომ ამ დაწესებულებებში გამოხატული სულიერი მისწრაფება ჩვენ ეროვნებას არ მივცემთ მის გადალახვისას და ყოველსავე საშვალებას ვიხმართ მის შემლახველთ ბირბადე ჩამოვხადოთ. ჩვენ აქ, რასაკვირველია, მარტო ის გვაინტერესებს, რომ ხალხი პოლიტიკურად გაიწვრთნას და პოლიტიკურ სიბეცეში არ ჩავარდეს ახალის «თვით მპყრობელების» წყალობით, თორემ არავისათვის შესაშურებელი არ არის დღევანდელ «დუმაში» წასვლა და დღევანდელ პირობებში არჩევა. მე მგონია, მტერიც ვერ დამარღებდა სოციალ-დემოკრატებს ისეთს სამარცხვინო საქმეს, როგორც მარშანდელმა არჩევნებმა ჩამართეს. ხალხს ნათლად დაანახვეს, როგორ შეუძლიანთ სიარგებლონ მათ მათის დიქტატურით. წლევანდელი არჩევნები, თუ მათ სასარგებლოდ გათავდა, კიდევ უარესს უქადის მათ, ვინაიდან, რაც არუნდა სთქვას კაცმა, შარშა- ნდელ მათ დეპუტატებში ერთი-ორი მაინც ერია ისეთი, რომელზედ უკეთესი მათ პარტიაში არ მოიძებნება, ხოლო მათი «საქმენი საგმირონი» არა მგონია პლიუსად ჩაეწეროს ს.-დ.-ების პარტიას.

იმერელი აბომრჩეველი.

არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

ჩ ვ ე ნ შ ი

ხაშური. როგორც მოგეხსენებათ, ს.-დემოკრატებმა აქაც დაიწყეს საქმენი თვისნი საგმირონნი, რადგან ვერ უღალატებენ ლანძღვა-გინების ტაქტიკას. აქამდის ცოტაოდნად დაფარულნი ვიყავით მათ გინებისაგან (გასაკვირველი კია!), მაგრამ 13 იანვრიდან, როცა წვრილ მემამულეთა არჩევნებში ვერც ერთი თავიანთი თანამოაზრე ვერ გაათეთრეს, დაიწყეს „სოციალისტური“ გინება. გაწყრა ღმერთი და სხვა და სხვა ხრიკს მიმართეს. ამავე დღეს ერთს სამიკიტნოში მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს, ამორჩეულებისთვის ჩაეგონებინათ, რომ ფედერალისტები ბურჟუების და თავად-აზნაურების დამცველები არიან, და ბატონყმობის აღდგენა უნდათო. ზოგს მუქარაც შეუთვალეს, არამც და არამც ფედერალისტებს ხმა არ მისცეთო. მუქარა შეუთვალეს აგრეთვე იმათ, რომელნიც აგიტაციას ეწეოდნენ ს.-ფედერალისტთა სასარგებლოდ, რათა მათ თავი დაანებონ ფედერალისტებთან კავშირს. ასე გასინჯეთ დეპეშაც კი გაუგზავნეს გუბერნატორს, სთხოვდნენ არჩევნების გაბათილებას. დასასრულ გეტყვით: ს.-დემოკრატები ტყუილად ნუ იცხელებენ თავს, ხალხს თვალებს ვერ აუხვევენ, იგი ხედავს თავის მტერს და მოყვარეს. წავიდა ის დრო, როცა ფარფაშობდნენ გლეხ-კაცობაში.

ა—ჯ—ნა.

ს. ყვარელი (თელავის მაზრა). 13 იანვარს სოფ. ყვარელში მოხდა წვრილ მემამულეთა კრება რწმუნებულთა ასარჩევად. ამ სოფელში უნდა შეკრებილიყვნენ შილდა-ენისლიდან დაწყებული ს. გავაზამდე ყველა სოფლის მესაკუთრენი. ამის და მიუხედავად, ძრიელ ნაკლებად გამოცხადდნენ, ბევრ სოფლიდან არავინ მოსულა. მთელ ამოდენა რაიონიდან მხოლოდ ორმოც და ათამდე კაცმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, ისიც უმრავლესობა მკვიდრთთაგანი იყო. არჩევნებს აწარმოებდა თავ. ვახვახიშვილი. არჩევნები იმავე დღეს გათავდა. კენჭს ყრით აარჩიეს 12 კაცი. უმრავლესობა მემარცხენეა. ესენი არიან: გიო ყანდაურიშვილი, ზაქრო გონიაშვილი, ალექსა აივაზოვი, ივანე მამულაშვილი, სიკო სამიტაშვილი, გიო გოგიტაშვილი, ნიკო სოხიშვილი, ესაკა გურასპიშვილი, დათიკო ველიაშვილი, საბა დუშელაშვილი, გიორგი ვეღაშვილი და დათიკო ლომაშვილი.

—

ს. ნაფარეული (კახეთი). საერთოდ წელს მეტად ცუდ დროსა სწარმოებს არჩევნები. ამისთანა სიკიკესა და ყირვაში ხალხს უძნელდება სხვაგან წასვლა თუნდა თავისი საკუთარი საქმე ჰქონდეს, თორემ სახ. სათათბიროს არჩევნებს ხომ ნაკლებ აქცევს ყურადღებას, თუმცა ამას არ ცოდნითაც ხსნიან. 13 იანვარს ნაფარეულში მოხდა რწმუნებულთა არჩევნები წვრილ მემამულეთაგან. გამოცხადდა მხოლოდ ასამდე კაცი. უნდა აერჩიათ 19 კაცი. უფრო შარშანდელ არჩეულებს ეტანებოდნენ. აირჩიეს სულ გლეხ-კაცობა, მხოლოდ ამათში ორი მღვდელი ურევია. მემარცხენეებით თითქის სულ მემარცხენენი არიან. როგორც სხვა საარჩევნო რაიონებიდან იუწყებიან, თითქმის ყველგან მემარცხენენი გასულან, ასე რომ წელსაც კახეთი მემარცხენე ამომრჩეველთ გაჰგზავნიან საგუბერნიო არჩევნებში.

—

ქუთაისის უბერნია. მოგვივიდა შემდეგი ცნობები არჩევნების შესახებ: ქუთაისის მაზრაში აურჩევიათ ხუთი ს.-დემ.; სენაკის მაზრაშიაც ს.-დემ. აურჩევიათ. შორაპნის მაზრაში გლეხთა არჩევნებზე აურჩევიათ ცუცქირიძე, კაპანაძე, ბეტონიძე, მერკვილიშვილი და ლეკანოსიძე—ს.-დემ. მემამულეთა კრებაზე გააშავეს ს.-დ-ბი და აირჩიეს ზდანოვიჩი, კ. აბაშიძე და ხუსკივაძე. ლეჩხუმის მაზრაში მემამულეთა კრებაზე კენჭი იყარეს თავ. ოთარ დადეშქელიანმა და პლატონ გელოვანმა პირველს ამოუვიდა 65, ხოლო მეორეს 59 თეთრი კენჭი. გლეხებმა ამავე მაზრაში აირჩიეს ორი მემარცხენე. რაჭაში აირჩიეს დაკი ჯაფარიძე და ვლადიმირ ჩხეიძე. ფოთში აირჩიეს სამართალაშვილი და კილაძე—ს.-დ.

ზუგდიდში ქალაქიდან აარჩიეს: მემამულეთაგან მეგენარგია და ანჩაბაძე. გლეხთაგან კირია, იასავა და შანია—მემარცხენენი. ოზურგეთში ქალაქიდან აარჩიეს გრიაზნოვი, გლეხთაგან—კალანდაძე და ბერკანიძე; მემამულეთაგან—მახარაძე და ლომთათიძე—სულ მემარცხენენი. არჩევნების დროს დაეპატიმრეს სამი კაცი.

—

ბიულეტენების დაბრუნება. ტფ. ქალაქის გამგეობას პოლიციამ 4,000 უწყება-ბიულეტენზე მეტი დაუბრუნა. პოლიცია აცხადებს, ამომრჩეველთა ბინები ვერ ვიპოვნეთო.

—

საარჩევნო კრებები. 21 იანვარს ტფ. მეორე რაიონში მოხდა კრება. ამომრჩეველის კანდიდატებად დაასახელეს ა. ა. ქალანთარი და ნაფიც ვექილი ტურკევიჩი.

ასეთივე კრება მოხდა პირველ რაიონში. დაესწრო ორმოცი კაცი. კანდიდატებად დაასახელეს ექიმი ვესელოვზოროვი, ექიმი მამინოვი, აგრონომი არ. ფირალოვი, პედაგოგები ზაჩინიაევი და პლამენევსკი, ვექილი საყვარელიძე, კონევი, ნოვოლოხინი, ინჟინერი შახბუდაგოვი, ზდანევიჩი და ელჩუკოვი.

—

ტფ. ქალაქის ამომრჩეველნი. 21 იანვარს, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ტფ. მაზრის ქალაქის ამომრჩეველებისა. კრებას დაესწრო 72 კაცი. კენჭი უყარეს სამს კაცს მეკოკიშვილს, სანგულოვს და ხალათოვს. აირჩიეს მეკოკიშვილი, მემარცხენე.

—

ტფ. მაზრის გლეხთა რწმუნებულების კრება. გუშინ ტფილისში მოხდა ტფილისის მაზრის გლეხთა რწმუნებულების კრება ორის ამომრჩევლის ასარჩევად. დაესწრო ორმოც-და-ერთი რწმუნებული. აირჩიეს ორივე მემარცხენე.

რ უ ს ე თ ი ს ა

პეტერბურგი. ორიოლში ქალაქის აირჩეველთა კრებაზე აირჩიეს მემარჯვენე და ვოლხოვში—მშვიდობიან განახლების პარტიის მომხრენი, კრიმში—კადეტების მომხრე, სევსკში—ოქტომბრისტი, ლივნში—მშვიდობიან-განმაახლებელი, მცენსკში—კონ.-დემოკრატები, ტრუმჩევსკში—ოქტომბრისტი, მალო-არხანგელსკში—მემარცხენე, რიგაში—ორი მონარქისტი, ვოლკასა, ვოლმიარსა, და პერნოვოში—მემარცხენენი.

როგორც გამოანგარიშებულია, 20 იანვრამდე სოფლელებს, მუშებს და წვრილ მემამულეებს აურჩევიათ ჯერ-ჯერობით 11, 378 რწმუნებული. იმათში მონარქისტი და მათი მომხრე 3222-ია. ზომიერი, რომლებიც მშვიდობიან განახლების პარტიის მარჯვნივ დგანან,—5380. დანარჩენთა რიცხვში უპარტიო პროგრესისტი კადეტი—და მათი მომხრე 326-ია. 3, 836 წვრილ მემამულეთა რწმუნებულიდან 1731 მღვდელია.

ოქტომბრისტების ცენტრალურმა კომიტეტმა სახ. სათათბიროს დეპუტატის კანდიდატებად დაამტკიცა მოსკოვიდან: ალექსანდრე გუჩკოვი, ვლად. გირეი, თ. პლევაკო, გრაფი კომოროვსკი, გრიგორ კრესტოვნიკოვი, ალ. მელკინი, ეგორ ნოლიტეინი, კარლო მანდელმანი.

ახალი ამგავი

✦ **პანაშვიდი.** გუშინწინ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, გადახდილ იქმნა ნახევარი წლის პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ დაუვიწყარ შიო ჩიტაძის და მის მეუღლის ხსოვნის პატივსაცემლად. პანაშვიდს დაესწრნენ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების და ქართულ დაწესებულებათა ერის განსაკუთრებული პიროვნება დაიცვა; ის სიყვარული დამოუკიდებლობისა, რომელიც ბედსა და უბედობაში ებრაელთა განსაკუთრებული თვისება იყო; ის მგზნებარე პატრიოტიზმი, რომელიც მაკაბელთა გულში აინთო და ბერძენთა ფალანგის მჭიდროთ მიჯრილ-მუშებს და რომაელთა უძლეველი ლეგიონის კვეთებას ებრაელ გლეხების გადაღეღილი გული დაუხვედრა; ის დაჟინებული გულადობა, რომელმაც დევნილი და წვალებული ებრაელი თავის სარწმუნოებას დაუკავშირა. იმან აანთო ის ცეცხლი, რომელმაც ებრაელთა პოეტებსა და წინასწარმეტყველთ აზრის უმაღლესი აღფრთოვანება გამოათქმევინა; ის გონებრივი ძალა, რომელმაც გამხმარ კვერთხს მრავალჯერ კოკრები გამოასხმევინა და ააყვავილა. გადააცილა თუ არა ერთი ერის ვიწრო ფარგალს, იმან გამოაჩინა თავისი ძალა ყველგან, სადაც კი ებრაელთა საღვთო წერილმა გავლენა მოიპოვა. იმან დაამხო მეფეთა ტახტნი და მიწაზე დაანარცხა სამღვდელო იერარქიები. იმან განამტკიცა შოტლანდიელი კონვენციონელი განსაცდელის დროს და ძალღონე შესძინა პურიტანს უცხო ქვეყნის თოვლსა და ყინულში. იგი იბრძოდა ნეზბისთან და მტკიცედ იდგა ბენკერ ჰილის სიმაგრეში.

ამგვარ ადამიანთა ცხოვრება საქმითა

ლებათა წარმომადგენლობა, განსვენებულის ამხანაგნი, ქართულ გიმნაზიის მოწაფენი და გარეშე სახელოვანები.

✦ **სტოლიპინი დეპეშა ნამესტნიკს.** გაზეთ „რუსს“-ში დაბეჭდილია ტფილისიდან გაგზავნილი შემდეგი დეპეშა. „კავ. ნამესტნიკმა მიიღო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტოლიპინის დეპეშა. სტოლიპინი ეკითხება ნამესტნიკს, სცნობთ თუ არა შესაძლოდ კავკასიაში სამხედრო წესების გაუქმებასაო. კერძ. საუბრის დროს ნამესტნიკს უთქვამს, რომ ეხლა შესაძლებელია სამხედრო წესები გაუქმებაო“.

✦ **გადასახლება და საგ.-გუბერნატოროდან გაგზავნა.** ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებით, ვიატკს გუბერნიაში სამის წლით იგზავნებიან ბაკურის მაზრის მცხოვრებნი კასპელი გიორგი მიხ. ჯანიევრდაშვილი და ერთაწმინდელი ალექსანდრეანდ. ბარტულაშვილი ჰბრალდებათ მუქარის წერილების დაგზავნა და ფულის დატყუება. ტფ. საგუბერნატოროდან ეტაფით იგზავნებიან ტფ. საგუბერნიო სატუსალოში დაპატიმრებულნი: სენაკელი ნესტორ გიგიბერია, სარმარკოსიანცი, ქუთ. [illegible] მეხოკრები [illegible] კოლოოზ კანდელაკი, [illegible] ოკორენკოვი, განჯელი ს. ტერ-აბრამოვი, ხურვალეთელი (გორ. მ.). მიხეილ ილურიძე, რაჭველი თედო მაისაშვილი, სიმონ ზაქარიაძე და იოსებ ბერიძე. ეტაფით იგზავნება აგრეთვე პარიკ-მახერი სიმონ ნადარაშვილი. გაგზავნამდე სამის თვით დაპატიმრებენ.

✦ **პროფ. კავშირის წევრთა კრება.** კვირას, 21 იანვარს, ქალაქის საბჭოში მოხდა პირველი კრება რესტორან-სალტუმროებისა, სასადილო-სასმელ დაწესებულების და კერძო სახლების მოჯარადრეებისა. დაესწრო 500-ზე მეტი კაცი. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ა. ბონდარენკო და შეუდგა პროფესიონალურ კავშირის წესდების გაცნობას. დასასრულ, აირჩია გამგეობის წევრები და მათი კანდიდატები. წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ბონდარენკო, დოლიძე, მ. არეიძე, მ. კაჭარავა, ლ. პატარიძე, ურუმბეგოვი, ე. ვოლკოვი, გ. კუჭუხიძე და ალ. ნატროშვილი. კანდიდატებად: გ. საგანელიძე, ალ. გიორგობიანი, ფანიაშვილი, ლ. ლარიონოვი, ვ. უსოვი, ერ. ნაფეტვარიძე და ბონდარეკი. კრებამ ამორჩია აგრეთვე სარევიზიო კომისია. ქალაქის სახლს, სადაც კრება გაიმართა, ყაზახთა რაზმი ერტყა. თვით კრებას სამი პოლიციელი დაესწრო.

✦ იანვარს მადათოვის კუნძულის მცხოვრებმა მუშებმა და ხელოსნებმა, როგორც გადმოგვცეს, საერთო კრებაზე ერთ-ხმად ბოიკოტი გამოუცხადეს მებუერეებს ფილიპე გძელიშვილს და გლახოს სხირტლაძეს, რადგან მათ ოთხ კაპეიკიანი პური ოთხ-კაპეიკნახევრად გაყიდეს.

✦ **საარჩევნო კრება.** ოთხშაბათს, 24 იანვარს, ნაშუადღევის 5 ს. პირველ საპოლიციო უბანში ქალაქის ხორცის დუქნის შენობაში დანიშნულია ამავე

---

*) იხ. „ისარი“ № 14.

ფაება დღეს იქნას განხორციელებული. დღესაც რამდენად დავალებულნი ვართ ამ დაწესებულებათაგან. სწორედ ამ ჟამად ერთად-ერთი დღე, რომელიც მუდმივ ჭაპან-წყვეტას უმსუბუქებს მშრომელ ხალხს, მოსეს მიერ არის დაწესებული. პოლიტიკურ ეკონომიაში ყველაზე უკეთ ის არის გამორკვეული, რომ დღევანდელ პირობებში მუშა ხალხი, კვირაში შვიდი დღე რომ ემუშავნა, იმაზე მეტს ქირას ვერ მიიღებდა, რასაც დღეს ექვსი დღის მუშაობისათვის ღებულობს და ისევე გაუჭირდებოდა თავისი საკუთარი დღის შემცირება, როგორც დღეს უჭირს.

დავანებოთ თავი იმათ, რომელთა შემცდარი აზრით ადამიანია შაბათისათვის გაჩენილი და არა შაბათი ადამიანისათვის; იმ გარემოებას, რომ კვირაში ერთი დღე, არის, რომელიც მუშა კაცს შეუძლია თავისად დაარქვას, კვირაში ერთი დღე, როცა სდუმს ურო და საფეიქრო მანქანა უქმად დგას, უნდა უმადლოდეთ ებრაელთა სჯულს—სინაის უდაბნოში გამოქვეყნებულ კანონთ-კრებულს. ხოლო იმას, ვინც ხედავს, როგორ იღუპება დღეს ადამიანის საწარმოო ძალა, განა შეუძლია ექვი იქონიოს, რომ დღევანდელი საზოგადოება არა თუ მარტო უფრო ბედნიერი, არამედ უფრო მდიდარიც იქნებოდა, ჩვენ რომ შაბათ დღესავით

შეგვეთვისება დიდებული იდეა შაბათიწლისა, ან ამ დაწესებულებაში გამოხატული სულიერი მისწრაფება ჩვენი დროის განსხვავებულ პირობებისათვის შეგვეფერებია და სხვა გზით იმისი თანასწორი სამუშაო დღის შემოკლება ეზრუნველგვეყო.

მოსეს დაწესებულებათა სწორედ ამ განსაკუთრებულ თვისებებში, როგორც ვეება ძეგლის ნატეხებზე, შეგვიძლია წავიკითხოთ, რამდენად დიდ-პუნებოვანი იყო ის ადამიანი, რომლის მისწრაფებაზედ აღბეჭდილი; იმ დიადი სულის, რომელმაც გაუსწრო თვის გარშემო ცხოვრებას, გაუსწრო თავის თანამედროვე ხანას, ერთი იმ ვარსკვლავ სულთაგანის, რომლის შუქი სიშორის გამო არ ჰქრება, ხოლო არსებითი ჭეშმარიტების შარავანდედით რწყინავი თავის სხივებს არ ჰკარგავს იმ დროს, როცა სხვა-და-სხვა დაწესებულებანი, სჯულნი და ენები იცვლებიან და კვალ-წმინდად ჰქრებიან.

ვის შეუძლია ექვი იქონიოს, რომ აზრი უფრო დიადი იყო, ვიდრეიმისგან არჩეული ფორმა? ხოლო იმ დროიდან დღემდის ეს ფორმა ცხოველმყოფელ ძალად დარჩა ამ მსოფლიოში.

მოსეს კანონის თავისუფალ სულისაგან წარმოსდგა ის ოჯახური ცხოვრების სიმტკიცე, რომელმაც ყოველნაირად დევნილ და გაჰფანტულ ებრაელ-

და მაგალითით სასარგებლოა ჩვენთვის. იგი ჰმოსავს ღირსებით ადამიანის ბუნებას, დიდებათ ადამიანის მხნეობას და ვინც იბრძვის-იმედსა დანუგეშს აძლევს. მოსეს ცხოვრება მოსეს დაწესებულებებსავით, პროტესტია იმ ღვთის მგმობელ მოძღვრების წინააღმდეგ, რომელიც დღესაც ისე გავრცელებული როგორც ამ სამი ათას წლის წინად იყო; ეს ღვთის მგმობელი მოძღვრება ხშირად საეკლესიო კათედრებიდანაც გაისმის, სახელდობრ, რომ კაცობრიობის უდიდესი ნაწილის სიღარიბე და გაჭირვება ღვთის საიდუმლო განგებისაგან გამომდინარეობს, რაზედაც ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ცრემლი ვღვაროთ და არ შეგვიძლია წინააღუდგეთ ან შევცვალოთ. დეე იმან, ვინც ამ მოძღვრებას ჩასჭიდებია, იმან, ვისაც ჰგონია, რომ მთელი ეს სიმხეცე და გახრწნილება, რომელიც ჩვენი ცივილიზაციის შუა გულში ფუსფუსებს, იმისი საქმე არ არის, მიაქციოს ყურადღება ამ ცხოვრების მაგალითს. რადგან იმ ადამიანს ვინც ხედვის ურჩი არ არის, დღესაც უნათებს ანთებული ბუჩქი; იმას, ვისაც სმენა უნდა, ახლაც ესმის ხმა: „ხალხი იტანჯება; ვინ გაუძღვება იმას გავისუფლებისაკენ?“

უმაღლესი მონარხისა და მიწიერი ღმერთის ოჯახში შვილად აყვანილი; იმ სოციალური პირამიდის თითქმის მწვერ

ებნის ამომრჩეველთა კრება. კრება ადმინისტრაციისაგან ნებადართულია.

✦ **შიმშილი სასწავლებელში.** როგორც გადმოგვცეს, ტფილისის საფერშლო სკოლის მოსწავლეებს შიმშილი გამოუცხადებიათ და მოთხოვნილებანი წარუდგენიათ სასწავლებლის მთავრობისათვის. თხოულობენ თურმე საკმლის გაუმჯობესებას, სამკითხველოს მოწყობას და სხვას.

✦ **გაფიცვა.** ეს რამდენიმე დღეა, რაც ანდრიოლეტის ქარხანაში გაიფიცნენ მუშები. მიზეზი ის იყო, რომ ანდრიოლეტიმ მოინდომა მუშების რიცხვის შემცირება ან და ჯამაგირის დაკლება. მუშები არ დასთანხმდნენ და გაფიცვა გამოაცხადეს.

✦ **წერა-კითხვის საზოგადოების საწევრო ფული.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ წარსული წლის 17 დეკემბრის წლიური კრების დადგენილების თანახმად, წევრობა ჩამოერთმევა იმ წევრს, რომელსაც ერთი წლის გადასახადი არ ექნება შემოტანილი. გამგეობა საზოგადოებისა აუწყებს ამას წევრებს და სთხოვს, თავის დროზე წარმოადგინონ საწევრო გადასახადი, რომელიც, იმავე კრების დადგენილებით, შემცირებულია სამ (3) მანეთამდის.

✦ **ქართული საქველ-მოქმედო საზოგადოება.** ამას წინად ვწერდით, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დაამტკიცა „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების“ წესდება. როგორც გავიგეთ, მომავალ კვირაში მოხდება ამ საზოგადოების დამფუძნებელთა კრება გამგეობის ასარჩევად; კანონით მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ამ საზოგადოებას მოქმედების დაწყება. ჩვენი ცნობა, ვითომ ახალ საზოგადოებას მარტო ტფილისის გუბერნიაში შეუძლია მუშაობა, მართალი არ გამოდგა: მას ნება აქვს იმოქმედოს მთელს კავკასიის სანამესტნიკოში, აგენტები და განყოფილებანი გახსნას სხვა გუბერნიებში.

✦ **მასწავლებლის მოკვლა.** 20 იანვარს ერევანში მოუკლავთ გიმნაზიაში მათემათიკის მასწავლებელი მელიქიანცი. როცა მელიქიანცი პედაგოგიურ საბჭოდან დაბრუნებულა და თავისს სახლის კარებთან ზარი დაურეკია, ვიღაც უცნობებს რვაჯერ უსროლიათ და მერე გაქცეულან. მელიქიანცი სექტემბერში გამწესებულ მასწავლებლად. ერთხელ ბოიკოტიც გამოუცხადეს. ორი წლის წინათ ამნაირათვე მოჰკლეს მათემათიკის მასწავლებელი კრანკო. მკვლელები ვერც მაშინ აღმოაჩინეს.

✦ **ლექციები ეროვნულ საკითხის შესახებ** 20 იანვარს ტფ. საბჭოს დარბაზში ბ-მა ი. ტრაცევიცკიმ, მრავალის ხალხის თანადასწრებით, წაიკითხა ლექციები ამ სათაურით. „პრობლემები ებრაელთა ეკონომიკისა.“ ლექტორმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია ს.-დემოკრატების პროგრამის იმ ნაწილს, სადაც ისინი ეროვნულ საკითხს ეხებიან. ლექტორმა განაცხადა, რომ ს. დ-ია ბურუსში ახვევს ეროვნულ საკითხს და გამორკვევით არ ამბობს, როგორ უნდა გადასწყდეს იგი.

ვალზედ მდგომარე, რომლის საძირკველი განუწყვეტლად ოფლის მღვრელი ურიცხვი ხალხი იყო; მღვდლობითა და თავადიშვილობით მოსილი ისეთ ქვეყანაში, სადაც თავადების და ღვდლებისათვის ყოველნაირი ნეტარება იყო მომზადებული — ყველაფერი, რითაც კი ცხოვრებას შეუძლია დაატკბოს ადამიანის გრძნობა და ჰკვებოს იმისი გონება—იმის ფეხ ქვეშ ფიანდაზად იყო გაშლილი.

რა იყო მისთვის კვნესა იმ ხალხისა, რომელიც პაპანაქება სიცხეში, ოსტატების უწყალო მათრახს ქვეშ მუდამ ჟამს ოფლსა ღვრიდა? მარმარილოს სასახლეში, ტილოს გრილ ფარდებს უკან ეს ხმა ხომ, სიშორის გამო, საამო მუსიკასავით ესმოდა. რაში ეჭირვებოდა იმის სვე-ბედის სფინქსის შეკითხვა ან უზენაეს ღმერთთა მიერ დადგენილ ბედის წერის წინააღმდეგობა? ყველა ეს ხომ ასე იყო მუდამ ჟამს, მრავალი საუკუნის განმავლობაში; და სამუდამოთაც ასე უნდა დარჩეს. ხარაბუზა სწიწკნის მწერს, და შავარდენი თავის კლანჭებში იგდებს ხარაბუზას; მტკიცე კანონის ძალით, სიკვდილისა და სისხლის ღვარიდან იბადება სიცოცხლე, უმდაბლეს სულდგმულთა სულთ-ბრძოლიდან—უმაღლესი ნეტარება. განა შესაძლებელია, რომ ადამიანი ბუნებაზე უკეთესი იყოს? ნელად და მშვიდად მიმდინარეობს ნილოსი, თუმცა იმისი წყნარი ზედა-პირის ქვეშ თევზთა რაზმებს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი აქვთ და მძლავრი სუსტსა ჰყლაპავს. განა ვარსკვლავთ შემყურე და იმათი საიდუმლოების ამომკითხველი ადამიანი უნდა მოშორდეს თავის ადგილს მხოლოდ იმიტომ, რომ იმის ფეხ ქვეშ რაღაც მატლი სიმწრისაგან იკლაკნება?

ხალხის ხვედრია უჩალოდ ანგურის კეთება; იმისი—უმაღლესი ადგილი დიდებულ პროცესსიაში, რომელიც ბრწყინვალე დროშებით, ბრჭყვიალა სიმბოლოებით, მუსიკის გრიალითა და გალობით მიიმართებოდა მათი ოფლით აგებულ საუკუნო შენობის საკურთხებლად. მაგრამ ხვედრია—ხახვი და ნიორი: იმისი კი—მდიდრულ განცხრომის ნადიმებზე ჯდომა. რად ეჭირვებოდა გულის-მოწყვლელ მონობაზე ფიქრი იმას, ვისაც ეტლები უცდიდა და დელტის ფეხ-მარდი რაშები სასეირნოდ გააფრენდნენ ან მონები მდინარის შუა გულზე გააცურებდნენ ნავით და სიმღერით სმენას დაუტკბობდნენ? მოენატრებოდა სისხლის აღმძვრელი მოძრაობა?—მზად იყო იმისთვის ნადირობა უდაბნოში ველზე უსწრაფეს რაშებითა და ძალებსავით დაგეშილ ლომებით. მოსწყურდებოდა სიწყნარე და დასვენება? მზად იყო მისთვის ნაზი მუსიკა და მაკიავარ ქალწულთა მოძრავი თაიგული.

საუკეთესო სახსრად ერის ცხოვრების განსავითარებლად და კლასობრივ ინტერესების გასაძლიერებლად ლექტორი სცნობს ავტონომიურ წესწყობილებას ყველა პატარა ერისთვის. ასევე უნდა მოიქცნენ ებრაელები პალესტინაში დაბრუნებისასაო. ებრაელებს სხვა გზა არ აქვთ, ისინი პალესტინაში უნდა დაბრუნდნენ, რადგან ერეკებიან იმ ადგილებიდან, სადაც განვითარებულია მრეწველობა-ვაჭრობაო.

✦ 29 იანვარს ღამით ქურდებს გაუტეხიათ ნეკრასოვის ქუჩაზე დულუხანოვის მაღაზია და გაუტანიათ ჩაი, შაქარი თამბაქო და სხვა. ქურდებს გამოუმტვრევიათ მეზობელ სადგომიდან კედელი და ისე შეპარულან დუქანში. წაუღიათ ორ ფუთიანი კასსა. კასსა ჰატრონმა მტკვარში ნახა.

პროვინციის ცხოვრება

ივრის ხეობა (გარე-კახეთი) დეკემბრის ნახევრიდან ამ მხარესაც ეწვივნენ კაზაკები სახელმწიფო ხარჯის გადასახდევინებლად. ბიერველად სოფ. მანავს ეწვივნენ, დაჭეშეს ექვსი დღე და შემდეგ კიორგიწმინდაში გადავიდნენ და მერე საკარეჯოც ინახულეს.

მარტო საკარეჯოში მოაგროვეს ასე ექვსასი თუმანი და წავიდნენ. ამ ხეობის სხვა სოფლებმა კი, სხვათა შორის, ხაშმაც თავიანთი ნებით შეიტანეს ხარჯი, და კაზაკებს იქ მისვლა არ ედირსათ.

სოფ. კიორგიწმინდაში ინდიურების და ქათმების ქურდობა გახშირდა. როგორც ხმა დადის, ხალხმა კიდეც მიაგნო ქურდ-ბატატების კვალს, მაგრამ მამასახლისმა ეს საქმე მიაფუჩეჩა.

საკარეჯოში სოფელმა დააპატიმრა სანდრო ესაიაშვილი, რომელსაც ფარჯების, ნაბდების, თოფის და მრავალ სხვა ნივთების ქურდობა ებრალდება და უმტკიცდება. სოფელს იგი ჯერ არ გაუმართლებია.

ყარაბულახელი.

ს. თოკლიაური (გარე კახეთი). ამ დღეებში აქედან ხარები დაიპარეს. კვალი ჩერქეზიშვილების ადგილებში მცხოვრებ თათრების ბინაში მიიტანეს. დაატუვეს ორი თათარი და სოფელში ამოიყვანეს. მეორე დღეს ორ-მუდანდოდან ამოვიდა ოთხმოცაშდე შეიარაღებული ცხენოსანი თათარი, დაიტაცა საქონელი და ოთხი ქართველი მწყემსი და გაბრუნდა. თოხლიაურელებმა საქონელი დაავრეკინეს, მაგრამ მწყემსები კი თან წაიყვანეს. როდესაც სოფელები შინ დაბრუნდნენ, ის ორი თათარიც გაქცეულიყო. ამ საქმის გამო სართიჭალის ბოქაული უნდა წასულიყო თათრებში. დავუმატებთ, რომ თათრებშიაც და ქართველებშიაც გვყავს ისეთი პირები, რომელიც რადაც ბნელის კანზრახვით უსიამოვნების ჩამოგდებასა სცდიბენ ამ ორ გაღატაკებულ ხალხს შორის.

ჩაილურელი.

თელავი. დღესასწაულები თელავს, როგორც პროვინციას, შესამჩნევ ელფერს ანიჭებს ხოლმე, რაიცა გამოიხატება ხოლმე მოძრაობაში, საჯარო მხიარულობაში და დროს გატარებაში. წარსულ დღესასწაულებს

ოელავში ძლიერ უსიცოცხლობა ემჩნეოდა, იგი მხოლოდ თელავის მოვაჭრეთ დაეტეოთ, რომელთაც დღესასწაულები საექსპლოატაციოდ აქვთ გამხდარი და ზედ-მეტად სარგებლობენ ისედაც გაღარიბებულ სოფლელთაგან. არც არაფერი გასართობი გამართულა, არც ამის დრო იყო და არც ამისი გული ჰქონდა ვისმე. დეე, ისევ იმან ისიამოვნოს, ვის გულსაც არა ჭსვდება ხალხის ტანჯვა და მწუხარება. წალ-კერთხევას თელავში დიდძალი ხალხი ესწრობოდა ხოლმე მერე ნადიკვარზე იკრიფებოდნენ და იქ იმართებოდა დიდი. წელს არც ერთი ეოფილა, არც მეორე და არც მესამე. როგორც ამბობენ, ხმები გავრცელებისა, იორდანზე არავინ გახვიდეთ, სროდა იქნებაო. ამისათვის არა თუ ხალხი, თვით სამდვდელოებაც დაშინდა. იორდანეს დამე ჰოდიციელები დაუყენეს. წალ-კურთხევაზე თითქმის არავინ კასუდა, თუ იყვნენ სოფლის ხალხი, ისიც ძლიერ ცოტანი. დიდით თითო როტა სალაათი გაგზავნეს და ჰოზიციებზე დაუყენეს, ამათ გარდა იყვნენ ეზახებიც და სტრაჟნიკებიც. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

„ნამუსიც კარგი საქონელია“

(წერილი რედაქციის მიმართ).

(შემდეგი *)

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია კიდევ ერთი გარემოება სოხუმის ოლქში ახალ მოძრაობის მნიშვნელობის შესახებ. სოხუმის ოლქში ქართველები, განსაკუთრებით მეგრელები სახლობენ და მუშაობენ დღემდის იჯარით აღებულ მიწაზედ: არავითარი სანადელო, ანუ საადგილ-მამულო იურიდიული უფლება აქაურ მოიჯარადრე მეგრელს არ აქვს მიწის შესახებ აქაურ მიწის პატრონთან. ჩვენი ხალხის უპატრონობა იმაშიაც სჩანს, რომ თითქმის 30 წელიწადზე მეტია, რაც სოხუმის ოლქში მოიჯარადრე ქართველები სახლობენ და დღემდის არავის ჩაუგონებია მისთვის, რომ რამე სამუდამო იურიდიული უფლება მოეპოვებინა საჭირო მიწაზედ. როგორც ვიცით, საქართველოში ახალი მოძრაობა დაიწყო მით, რომ მიწის მუშა ხალხმა, რომელსაც ისტორიული და იურიდიული უფლებები ხელთ აქვთ თავი სამუშაო და სამოსახლო მიწების შესახებ, მოინდომა თავის მიწათ-მფლობელობის გაფართოვება. გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში და ქართლ-კახეთშიც გლეხს ისე აქვს საქმე მოწყობილი, რომ მებატონე, მიწის პატრონი ვერ გასდევნის ადგილიდან.

მას ან სანადელო უფლებეთ, ან ხიზნის წესით, ან საკუთრების ძალით აქვს კავშირი მიწასთან; ამიტომ გლეხების მოშორება ან განდევნა იქ ძალით, ან კანონით არ შეიძლები. ამ მიზნის გამო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გლეხობის მოძრაობას მჭიდროდ ღრმა საფუძველი ჰქონდა. აჯანყება, ახმაურება, ადვილი საქმეა, მაგრამ ყოველივე ბრძოლის გამოცხადების—გაბედულობის დროს უკიდურეს შემთხვევისა-

*) იხ. „ისარი“ № 14.

ლი გახდეს. მოსეს სიკვდილიც იმისი ცხოვრების ღირსი იყო. იმან ანაცვალა თავისი ერის კეთილდღეობას ბუნებრივი წადილი დინასტიის დასაარსებლად, რაიცა ასე ადვილი იყო მისთვის; უარჰყო ნათესავები და თავის მოადგილედ ერის ბელადობისათვის შესაფერი კაცი აირჩია. ისეთ ქვეყნიდან გამოსული, სადაც სამარხ წესებს ყველაზე მეტ ყურადღებასა ქცევდნენ და სიკვდილის შემდეგ გვამის შენახვა—ცხოვრების საგნად მიაჩნდათ. ისეთ ხალხში მცხოვრები, რომელსაც თან დაჰქონდა თავისი დიდი წინაპრის იოსების ნაშთი, რათა იმის მამებთან ერთად დაემარხა.—მოსე მაინც სძლევს თავის უკანასკნელ ბუნებრივ წადილს, თვალთაგან ეფარება ადამიანთა და იმათ თანაგრძნობას, რათა მოკვდეს მარტო, უპირისუფლოდ, და კერპთ - თაყვანისმცემელმა გრძნობამ, რომელიც ყოველთვის მზადაა იჩინოს თავი ხალხში, სიკვდილის შემდეგ არ დაუმკვიდროს ის ცრუმორწმუნე თაყვანისცემა, რომელიც იმან სიცოცხლეში უარჰყო.

დღემდის არავინ იცის, სად არის იმის სამარე. ხოლო ამჟამად როცა ფარაონთა გაძარცული სამარეები დასცინიან იმ გულ-ზვიადობს, რომელმაც ამარა ისინი, სახელი იმ ებრაელისა, რომელიც აჯანყდა მათი მტარვალობის

ლის მიწის მუშების შესახებ. იგივე სერხი, იგივე საშუალება, რაც მიღებული იყო გურიაში და იმერეთში, უცვლელად გადმოიტანეს აქაურებმა კი არ დაუკვირდნენ, რომ აქ, აფხაზეთში, ადგილობრივ ვალდებულ გლეხებთან არა ჰქონდათ საქმე, აქ ტიპიური მოიჯარადრენი იყვნენ.

ნიკო თავდგირიძე.

(დასასრული იქნება)

რუსეთი

✦ **პეტერბურგის გრადონაჩალნიკის მკვლელის თავი** შუშის ჭურჭელში ინახება ახლად გამოგონილ სიმჟავეში. ეს სიმჟავე სხეულს არ ხრწნის, უცვლელად ინახავს. თავი გამოფენილია ხალხისათვის საჩვენებლად. რადგან გრადონაჩალნიკის მკლელის ვინაობა დღემდის ვერ შეიტყეს, ახლა ჰფიქრობენ, იქნება ხალხში ვინმემ იცნოს და იმის ვინაობა გაგვიმჟღავნოსო.

✦ **სამხედრო-საველე სასამართლოების შესახებ** გავრცელდა ხმები პეტერბურგში, რომ ხსენებულ სამართალში ამიერიდან მხოლოდ იმათ მისცემენ, რომელთაც მკვლელობა ჩაუდენიათ ან ვისმეს დასცემიან თავს მოსაკლავად. ქურ-

---

სადაც შუათანა რიცხვით 200 დღე წელიწადში წვიმიანია (წვიმის დროს ბაღის მუშები თავისუფალნი არიან). გასამრჯელოც, მებაღეებს შედარებით სხვა მუშებთან საკმაო ეძლევათ; თითო მუშას 18 მანეთიდან 40 მანეთამდე თვეში მიწა ბინასთან. ბაღის პატრონები არ დასთანხმდნენ წარდგენილ პირობების დაკმაყოფილებაზედ, უნდა ვიცოდეთ ის გარემოებაც, რომ სოხუმში ბაღის მეპატრონეები დიდ ფულს ადებენ, ახარჯავენ თავიანთ ბაღებს და შემოსავალი მეტ წილად ხარჯის მეათასედსაც არ ფარავს ჯერ-ჯერობით. ამნაირ გარემოებაში, ცხადია, ჩვენებურ მუშების გაფიცვა ნაყოფს ვერ მოიტანდა. მართლაც, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ბოლოს პატრონებმა დაითხოვეს გაფიცული ქართველი მებაღეები და შუავულ რუსეთიდან დაიბარეს მუშები. როცა წახდა საქმე, მოთავე პირები—ჭკუის მასწავლებლები—განზედ გადგნენ და ერთად ერთი შაბლონური პასუხით ანუგეშეს დამშეული მუშები: «რაც უფრო გლახათ იქნება საქმე, მით უფრო უკეთესია». ამ დროს, ოქტომბრის შუა რიცხვში, შევუდექი ჩემს თანამდებობას სოხუმში. გაჰირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბაღის მუშებმა მომმართეს, დაგვეხმარეთ, ეგენ რამე გვიშველოთ, სრულიად უპატრონოდ დავრჩითო (თუ საჭირო იქნება ამ ფაქტის დასამტკიცებელ საბუთსაც წარმოვადგენ რედაქციაში). შევკრიბე ცნობები, გავიგე, რომ ერთი მოხელე, რომელიც სახელმწიფო ბაღების ზედამხედველად ითვლება სოციალისტურ აზრებს თანაუგრძნობსო. წავედი მასთან და ვსთხოვე მუშების მიღება. დიდის რიხით და ბიუროკრატიულის მედიდურობით დამიწყო ამ «სოციალიზმის» მოტრფიალე მოხელემ მტკიცება, რომ ადგილობრივი მუშები მხეცები არიან, რომ მათი შებრალება არ შეიძლება, რომ ისინი სასტიკად უნდა დაისაჯნენო. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც ამ დაუვიწყარ შემთხვევის შემდეგ ეს «სოციალისტი ან მოხელე პირველი მოვიდა ჩემთან პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, ე. ი. აქ აღწერილ შემთხვევისაგან ერთი თვის შემდეგ და დაბაჯიონებით მარწმუნებდა: «მიატოვეთ ქალაქი, ჩაბარეთ მიტინგზედ არჩეულ პირებს ყოველივე გონება და გასწით სოხუმიდანო».

წინააღმდეგ და იღვაწა თავის მოყვასთა ასამაღლებლად, გზის მნათობელ კანდელად მიუძღვის კაცობრიობას.

ადამიანთა ბელადი და მსახური! კანონმდებელი და კეთილმყოფელი! მაშვრალი იმ აღთქმულ ქვეყნის მისაღწევად, რომელიც მხოლოდ სარწმუნოების თვალს დაენახვება! იმ მაღალ სულთა დარგი, რომელსაც ყველა საუკუნოებში მოუვლენია ამ ქვეყნად გმირები და წამებულნი, რომელთა საქმენი კაცთა ტომის ძვირფასი განძია და სახსოვარი—იმისი საღვთო მუმკვიდრეობაა! სახელმწიფოს დამფუძნებელია შორის ვის უნდა შევადაროთ იგი?

კამათი იმის შესახებ, თუ რა ძალამ შთაჰბერა სული ამ გვარ ადამიანთ—სიტყვების შესახებ კამათი იქნება. უხილავი ქვეყნის სიღრმიდან იძენენ ისინი თავის ძლიერებას; იმ წყაროდან, რომელიც მხოლოდ წმინდა გულიდან გადმოსჩქეფს, მიმდინარეობს მათი სიბრძნე. რაღაცას უფრო ნამდვილსა, ვიდრე სხეულია; რაღაცას, უფრო მაღალს ვიდრე ვარსკვლავებია; იმ ნათელს, რომელიც საუკუნოდ დარჩება, როცა ცის მნათობნი ჩაქრებიან და წყვდიადში დაინთქმებიან; იმ შემოქმედებას, რომლის ხორც-შესხმული ბუნება მხოლოდ ერთი წარმავალი გარეგნული ფორმაა, გვაუწყებს ჩვენ ამგვარ ადამიანთა ცხოვრება.

ი. ნაკაშიძე.

დებსა და მძარცველებს-კი სამოქალაქო სასამართლოში გაასამართლებენო.

✦ **კადეტების პარტიის დაკანონებას** მალე ელიან პეტერბურგში. დაკანონების ცხარე წინააღმდეგი იყო განსვენებული გრადონაჩალნიკი ფონ-დერ ლაუნიცი და ძლიერ აბრკოლებდა თურმე ამ საქმეს. ამ ჟამად-კი, როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, საქმე სენატის ხელში ყოფილა, და, როგორც სჩანს, სურვილი ჰქონია კადეტების სასარგებლოდ გადასწყვიტოს.

✦ **საერო განათლების სამინისტროს შეკითხვით მიუმართავს** ევროპის სხვადა-სხვა უნივერსიტეტებისათვის საუნივერსიტეტო წესდების შესადგენად, უკვე პასუხი მიულია საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის უნივერსიტეტებისაგან და შემუშავებულ წესდებას მომავალ სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს განსახილველად.

✦ **სამღვდელოება სასტიკ აგიტაციას ეწევა რუსეთში,** რათა მთავრობას ხალხში ნდობა მოუპოვოს. სხვათა შორის პეტერბურგის მახლობლად ალექსანდრონევის დიდ ლავრაში (მონასტერში) ბერების ცნობილ აგიტატორს ბერ არსენის ისეთი ცხარე სიტყვით მიუმართავს შეკრებილ ხალხისათვის, რომ ბოლოს-და ბოლოს ხალხს ყვირილი დაუწყია: ძალით გაუსწორდეთ მთავრობის მოწინააღმდეგეებსაო!

✦ **სტოლიპინს საყურადღებო საუბარი** ჰქონდა ამას წინად ჩერნიგოვის გუბერნიაში არჩეულ საერობო გამგეობის უფროს სავიცკისთან. სტოლიპინმა ჰკითხა, როგორ მიდის საქმე ჩერნიგოვის გუბერნიაშიო, და სავიცკიმ უპასუხა: უკანონო აგიტაცია ძრიელ გავრცელებულია, კანონიერი კი არსადა სჩანსო. მერე რა მიზეზია? ჰკითხა სტოლიპინმა. მიზეზი სულ უბრალოა,—უპასუხა სავიცკიმ: მაგალითად მე, თქვენი უმორჩილესი მონა, რომ გავეჭზავრო სოფლებში კანონიერი აგიტაციის გასამართავად, მაზრის უფროსი მაშინათვე ციხეში ჩამსვამს:—მართალს ბძანებთ, უპასუხა დაფიქრებულმა სტოლიპინმა. ადმინისტრაცია ამ ბოლო დროს ერიობ დაშინებულია.

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 იანვარი.

სოსნოვიცი. მძარცველები თავს დაეცნენ ეკატერინის ქარხნის კასირის თანაშემწეს. ბრაუნინგები მოუღერეს და 6000 მანეთი წაართვეს.

ოდესა. დილით ტრამვაის საზოგადოების კასირი ეტლით მიდიოდა; სადგურის ახლო თავს დაესხნენ, მეეტლე მძიმედ დაჭრეს და 2100 მანეთი მოიტაცეს.

დააპატიმრეს საკომერციო სასწავლებლის 30 მოწ ფე. მათ ჰბრალდებათ სასწავლებლის აფეთქების განზრახვა.

ჰარისბურგი. (პენსილვანია). სავაჭრო უბანი იწვის; დაიწვა ბევრი შენობა: თეატრი, სასტუმრო და სხვა. ცეცხლი არ ჩამქრალა.

ლვოვი. რუსინი სტუდენტები, რიცხვით 160 კაცი, დემონსტრაციის მოხდენისთვის დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაანთავი უფლეს. მაგრამ მეორე კიდევ გელ ახლა დააპატიმრეს. ამ ბავს გაზეთები იმითა ხსნიან, რომ რექამტორმა და ზოგიერთმა პროფესორმა რუსინელისაგან მუქარის წერილები მიიღეს.

ხარკოვი. გენიჩესკის სადგურზე 6 შეიარაღებული კაცი დაეცა ვაგონში მომხმარებელ საზოგადოების დუქანს დუქნის გამგემ სროლა ასტეხა და ორი კაცი დასჭრა. სხვები გაიქცნენ. დაჭრილებ საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

პეტერბურგი. დილის ექვსს საათზედ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი ქიმიის პროფესორი დიმიტრი მენდელეევი.

ვარშავა. სადგურ ნალენჩოვში შეიჭრა 30 შეიარაღებული ახალგაზდა. დასჭრეს სადგურში მყოფი ლიუბლინის მომრიგებელი მოსამართლე და ჟანდარმი. კასსა დინამიტით ააფეთქეს და 542 მანეთი მოიტაცეს.

პოლოცკი. ბაღში რევოლვერით მოჰკლეს მაზრის ჟანდარმის საშართველოს უფროსი პოდპოლკოვნიკი ბელსკი. მკვლელი მიიმალა.

სტოკჰოლმი მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონ-პროექტი დეპუტატების და ადგილობრივ თვითმმართველობის წევრთა არჩევნების რეფორმის შესახებ. ამ პროექტით ქვედა პალატაში შემოღებული იქნება საყოველთაო საარჩევნო უფლება და პროპორციონალური წესი. ზედა პალატაში არჩევნები მოხდა პროპორციონალურის წესით და ადგილობრივ თვით-მართველობის მეოხ ბით. ზედა პალატის რწმუნებულების ვადა უნდათ 9 დან 6 წლამდე შეაკოკლონ.

შანჰაი. ელიან იანშიკაის მანჯურის გენერალ-გუბერნატორად დანიშნვას.

ლონდონი. „დეილი-ტელეგრაფი“-ს ცნობით, ნიუიორკის გაზეთები ძლიერ შიშობენ, ვაი თუ იაპონიასთან ომი მოგვიხდესო, თუმცა სამხედრო მინისტრი ამ გვარ შიშს უაზროდ სთვლის. პრესსა ურჩევს მთავრობას, სკოლაში გაათანასწოროს იაპონელ ამერიკელ ბავშვების უფლებანი და ამით ომიანობა თავიდან აიცდინოს.

ოდესა. საველე სასამართლოს განაჩენით ჩამოახრჩეს სამი მოქალაქე. მათ ბრალდებათ პოლიციაზე შეიარაღებული თავდასხმა.

ტომსკი. ბურგინსკის სოფლის სასამართლოში ღამე ფანჯრიდან შეიპარა 6 შეიარაღებული კაცი. კასიდან წაიღეს 390 მანეთი, შემნახველ კასის 5000 წიგნაკი სასამართლოს ბეჭედი და მიიმალნენ.

ბერლინი 21 იანვარს, ღამის 12 საათზე, გამოირკვა ცხრა ხელახალ არჩევნების შედეგი. კონსერვატორებმა ორი ადგილი დაჰკარგეს და ერთი შეიძინეს; ნაციონალ-ლიბერალებმა შეიძინეს ორი ადგილი, თავისუფალ მოაზრეთ შეიძინეს ერთი. სოც.-დემოკრატებმა დაჰკარგეს ორი ადგილი, უპარტიო ლიბერალებმა შეიძინეს ერთი ადგილი.

რიგა. საველე სასამართლომ შეიარაღებულ ძარცვა-გლეჯისათვის მიუსაჯა ერთს 20 წლით კატორგა, ხოლო - მეორეს 12 წლით დაპატიმრება.

იაროსლავი. სოფ. ინეკოუზის ფოსტა-ტელეგრაფის გაძარცვის შესახებ შემდეგ დაწვრილებითს ამბავს გარდმოგვცემენ: 18 იანვარს შუა დღისას 5 შეიარაღებული კაცი შევიდა, „ხელები ზევით ასწიეთო“ დაიძახა და 5000 მანეთი მოიტაცა. სოფლის სასამართლოში ამ დროს საქმეები იჩჩეოდა. რაც გლეხებმა ეს ამბავი გაიგე, მძარცველებს გამოედევ ენ, თუმცა მათ სროლა ასტეხეს, მაგრამ მაინც დაიჭრეს. ბრბომ თვით-ნებობა იხმარა და თავდამსხმელი ძლიერ სცემა. ერთი იქვე მოკვდა, მეორე საავადმყოფოში გაგზავნეს. ფულიერის მომეტებული ნაწილი იპოვნეს.

ფეოდოსია. ეკატერინის გზის კანტორაში სამი უცნობი შეიჭრა. რევოლვერებით და ყუმბარებით დაიმუქრნენ, 2000 მანეთი მოიტაცეს, ერთი ყუმბარა დასტოვეს და მიიმალნენ. ეკვი მიიტანეს ორ კაცზე. ორივე დააპატიმრეს

ეკატერინბურგი. პერვ ეკატერინბურგის გზის მეარტელეს ტარასენკოს, რომელსაც ხაზინიდან 27,1000 მანეთი მიჰქონდა, დღისით თავს დეცა სამი კაცი ფულით სავსე პარკი წაართვეს, მარხილში ჩასხდნენ და წავიდნენ. ტარასენკო ეტლით გამოუდგა, ქალაქის განაპირას მოეწია, სროლა აუტეხა და პარკი დააგდებინა. ორი კაცი დაიჭირეს. ფულს 900 მანეთი აკლია.

პინსკი. რეალურ სასწავლებელის მეთვალყურეს მასწავლებლების დასარიგებ ლად 761 მანეთი მიჰქონდა. 7 შეიარაღებულმა კაცმა ფული წაართვა

ნემიროვი. ბრაცალავიდან ნემიროვში მიმავალ გიმნაზიის საქმის მწარმოებელს წართვეს 3000 მანეთი, მასწავლებლების ჯამაგირი.

პეტერბურგი. პრესსაში იბეჭდება სხვა და სხვა ცნობა სმოლენსკის მთავარ საპატიმროს იმ ტუსაღების შესახებ რომელნიც კატორგაში უნდა გაიგზავნენ პატიმრებმა გაფიცვა გამოაცხადეს იმით, რომ საპატუსაღოს ტანისამოსი და საცვალარ ჩაიცვეს. ამის გამო საპატიმროს მთავარი სამმართველო აცხადებს: დეკემბრის შუა რიცხვებში სევასტოპოლიდან სმოლენსკში გადაიყვანეს ერთი რიგი კატორგელებისა, რომელთაც სმოლენსკის ტუსაღებზე ძლიერ ცუდი გავლენა იქონიეს. ახლად მოსულები უწესოდ იქცეოდნენ; მღეროდნენ რევოლიუციონურ სიმღერებს ამბობდნენ, რომ არცღმერთიც ვწამს, არც მთავრობა, არც კანონიო განსაკუთრებით გაჯიუტდნენ მაშინ, როცა მოსთხოვეს, რომ თავიანთი თეთრეული ცეიხჰაუზში დაებარერებინათ და ჩაეცვათ. ახლად მოსულებს ძველებიც შეუერთდნენ და საპატიმროს ადმინისტრაციას მოთხოვნილება წარუდგინეს. სხვათაშორის ითხოვდნენ, რომ საპმელ-სასმელის საქმე ტუსაღებისა მიერ არჩეულ კაცებს ჩაბარებოდა. როცა ამაზე უარი მიიღეს, მთელ სატუსაღოში „ტიტველი“ გაფიცვა მოახდინეს, ე. ი. დაიყოლიეს ყველა ტუსაღები, რომ სახელმწიფო თეთრეული და ტანისამოსი არ ჩაეცვა. ამასთან მეთვალყურეებს სიკვდილს ემუქრებოდნენ. ტუსაღები აშკარად ამბობდნენ, რომ პრესსა ჩვენი დამცველიაო. თავი მოჰქონდათ იმით, რომ მათზე გაზეთებში სწერენ. იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, სმოლენსკის სატუსაღოში წეს-რიგის აღსადგენად გაგზავნა მთავარ სამმართველოს უფროს თანაშემწე.

ვარშავა. მარიავიტებმა წირვის გარდა, დგთის მსახურების დროს, ფათინურის მაგივრად, ზოდინური შემოიდეს.

ვიტავა. სამოსამართლო პალატამ გაარჩია 8 დატიშულის საქმე. 1905 წლის ოქტომბერში ტეპუკაის წინამძღოლობით, რომელიც თავისს თავს გენერალს უწოდებდა და რომელიც შეძლეგ გაიქცა, იარაღი აისხეს და ბარონ რეჭეს არეის სახლელ ქმრსანაში, სოც.-დემ. პარტიის სასელით, დიდ ქვაბში მოგროგილი სპირტი გამოუშვეს. ახლო-მახლო მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რადგან ამ ქარხანაში კარტოფილს ასადებდნენ და კი ძალ ფულს შოულობდნენ, მაგრამ შეიარაღებულებმა დაშინეს. ბრალდებულნი თავს იმართლებდნენ და განაცხადეს, რომ სარევოლიუციო მოქმედებას სოც.-დემ. პარტია გვაძლებდა. სასამართლომ ექვსს გადასახლება მიუსაჯა.

ლიუბლინი. 21 იანვარს სადგურ დოროგოსკს თავს დაეც 25 შეიარაღებული კაცი. მათ ჯერ სროლა აუტეხეს სადგურის მახლობლად „ოხრანნი“ კანფოფილების სახლს და შემდეგ თვით სადგურში ეუთი ასფეთქეს. ეუთის ქვეითა ნაწილი ნაფოტებად იქცა. ფული უკლებლადაა. სროლის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა სადგურის ჟანდარმი. ბრბოს დასჭერად ზომებია მიღებული.

ოდესა. სადამოზე ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში ბოლიციელებს დაეცნენ. ბერძნების ქუჩაზე მოჰკლეს „გოროდოვოი“. ოდგის ქუჩაზე „გოროდოვოი“ დასჭრეს. მსროლელნი მიიმალნენ. ბაზარნი ქუჩაზე მოჰკლეს დარაჯი და დასჭრეს „გოროდოვოი“. ორი კაცი დაიჭირეს.

მინსკი. სხვადამ მემამულემ გრაფმა ზოტოტოკომ გადასწყვიტა შრომის მოუგარე გლეხებს ადგილები მუქთად დაურიგოს და ცალკე ხუტორებად დასახლდეს. გრაფი ფიქრობს ზვიდ სოფელში სამაგალითო ხუტორები გამართოს.

ვარშავა. უალდზოვსკის ქუჩაზე სამი შეიარაღებული კაცი დაეცა ტრამვაის ვაგონს. კონდუქტორს 16 მანეთი წაართვეს.

მიშკინი. სოფ. ნელეკოუზში დღისით ფოსტის განყოფილებაში, როცა იქ წვრილ მემამულეთა კრება იყო არჩევნების საბაბზე, სამი შეიარაღებული კაცი შეეარდა, „ხელები ზევითაო“ დაიძახა, 5000 მანეთი გაიტაცა და გაიქცა. ერთი ბათვანი დაიჭირეს.

სამარა სადამოზე ექიმ ვერტელის სახლში შეეარდა 4 რევოლვერით შეიარაღებული კაცი. ექიმს ამოაცალეს რაც ფული ჰქონდა და წასვლისას განაცხადეს, რომ კარებში ეუმბარა დავდეგითო.

20 იანვარს დამე 4 შეიარაღებული კაცი ოზერინსკის სტანციაში შეეარდა. ამ დროს იქ ბიუჯეტენებში ოქტომბრისტების კანდიდატების გვარებს სწერდნენ. „ხელები ზევითო“, დაიძახეს, 150 ბიუჯეტენი მოიტაცეს და წავიდნენ. არავინ არ დაუჭერიათ.

ირკუტსკი. სადგურზე დაკარგული 4 ფუდიანი ყუთი (100,000 მან.) ქალაქ გარედ იპოვნეს გატეხილი. მეკანტორე ჯერ ვერ იპოვნეს.

რედაქტორ-გამომცემელი
ივ. ი. მჭედლიშვილი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის ვამგეობა

აცხადებს, რომ ქალაქის საბჭოში, ერევნის მოედანზე, 25 იანვარს, შუადღეზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** იმათთვის, ვისაც სურს იჯარით აიღოს ქვიშის, გრავის, რიყის ქვის, დამტვრეული ქვის დამზადება მესამე ნაწილში, მტკვრის პირად ქალაქის სახლის (ყოფილ პანკოვების) წინ.

პირობების გაცნობა შეიძლება ქალაქის საბჭოს მეოთხე განყოფილებაში, დილის 10—12 საათამდის. (2—ნ.—1)

თამბაქოს მწეველთა!!

პაპიროსის მანქანით „მეტროფანით“

ყველას ადვილად და უწვალებლად შეუძლიან მოამზადოს

საათში 600 ცალი

პაპიროსი ყოველგვარ ზომისა: ფასი 18 მან. შეიძლება ამ ფულის **ნაწილ-ნაწილ გადახდა**. თამბაქოს მაღაზია „ივერია“-ში მიასნიკოვისა, გოლოვინის პრ., პირველ გიმნაზიის პირდაპირ და გ. ი. ყულიჯანოვის მაღაზიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. (3—787—3

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

აკაკის

ახალი წიგნი

მამლის ყივილზე

(ზღაპარი)

ტფილისში წიგნი იყიდება „წ. კ. გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. (5—5)

პირველი კერძო სამკურნალო

დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებული 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲒᲘᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

Თ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ: 11—12 ს. ქირურგ., ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

Კ. Თ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

Შ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲝᲕᲘ: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

Თ. Გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

Კ. Ი. ᲒᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

Ა. Ვ. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

Ა. Ი. ᲨᲘᲠᲘᲜᲘᲜᲐ: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

Გ. Ი. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲝᲕᲘ; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

ᲡᲐᲓᲐᲛᲝᲗᲘ:

Ა. Შ. ᲞᲣᲒᲘᲜᲝᲕᲘ: 6—7 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **Თ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ.**

(150—ხალ.—12)

კბილის საექიმოს სკოლა ლ. ᲔᲪᲠᲝᲕᲘᲩᲔᲠᲘᲡᲐ

ᲒᲐᲓᲕᲘᲓᲐ ერევნის მოედანზე (ბუშკინის ქუჩა, № 3),

საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—54)

მიაქციეთ ფაბრიკის მარკას „ᲐᲛᲣᲠᲘ ᲡᲬᲔᲠᲡ“

აპარატებისა და ფირფიტების ყიდვის დროს ყურადღება

სასარგებლო ს ჩუქარი მომავალ დღესასწაულებისათვის

მთავარი საწყობი, როგორც ნარდად, ისე ცალოგით გასასყიდად

ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ

✦ ᲓᲐ ✦

ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘᲡ

ᲛᲗᲔᲚ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲠᲩᲕᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓ-ᲫᲐᲚᲘ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲐᲖᲔ.

ᲤᲐᲡᲘ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲘᲐᲤᲘᲐ.

დასურათებული პრეისკურანტები, კატალოგები და საიმღეროების სიები მსურველთ ეგზავნებათ და ეძლევათ უფასოდ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

სააქციონერო საზოგადოების

„ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲘ“-ᲡᲐ

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, ს. 9.

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲠᲩᲕᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲠᲙᲐ.

ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲔᲗ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲠᲙᲐᲡ „ᲐᲛᲣᲠᲘ ᲡᲬᲔᲠᲡ“

ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ

Адрѣсъ телеграммъ: Тифлисъ „Граммокомпанія“.

(25—ნ.—18)

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ., № 6.